პროლეტარეთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
კვირა
5
დეკემბერი
№ 286
(16716)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მოისმინეს რა ინფორმაცია საბჭოთა კავშირის დელეგაციისა, რომელსაც მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის 1976 წლის 25-26 ნოემბერს ბუქარესტში გამართული თათბირის მუშაობის შესახებ, გამოთქვამენ თავიანთ კმაყოფილებას თათბირების შედეგების გამო და საკუთარი იწონებენ საბჭოთა დელეგაციის საქმიანობას.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგმა თათბირმა ცხადყო, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ახორციელებდნენ შეთანხმებულ კურსს, რომლის მიზანია ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავება, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრება. ბუქარესტში მიღებული დეკლარაცია უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტია, რომელშიც ღრმად არის გაანალიზებული საერთაშორისო ვითარება, ნაჩვენებია დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის მიღწევები და ამ გზაზე აღმართული დაბრკოლებები, წამოყენებულია ახალი დიდი ინიციატივები, რომლებიც შეესაბამება ხალხთა ძირეულ ინტერესებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს დეკლარაციის დებულებებს, რომ უნდა განხორციელდეს გადაუდებელი ღონისძიებები გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებაზე გადასვლისათვის. საქმე ეხება თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ყველაზე საჭირბოროტო პრობლემებს, რომელთა გადაჭრაზე უდიდესწილად დამოკიდებულია კაცობრიობის მომავალი.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკურმა საკონსულტაციო კომიტეტმა მხარი დაუჭირა კონკრეტულ წინადადებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა შეიტანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განიარაღებისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების იმ საკითხებზე, რომლებიც წამოყენებული იყო ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციაზე, და ამასთან ერთად წინადადება მისცა სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე ყველა სახელმწიფოს, დადონ ხელშეკრულება, რომ პირველები არ გამოიყენებენ ატომურ იარაღს ერთმანეთის წინააღმდეგ. ეჭვიც არ არის, რომ ამ წინადადების რეალიზაცია დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ატომური იარაღის საფრთხის შენელებაში, მთელი საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატის შემდგომ გაჯანსაღებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც სრულიად ევროპის თათბირის ინიციატორები იყვნენ, მტკიცედ და თანამიმდევრულად მოქმედებენ ჰელსინკის დასკვნითი აქტის სულისკვეთებით, იჩენენ ახალ ინიციატივებს ევროპის ყველა სახელმწიფოს თანასწორუფლებიანი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის განვითარების საკითხებში.

ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობა გახდა მათი ეროვნული და ინტერნაციონალური ამოცანების გადაწყვეტის, რევოლუციურ მონაპოვართა დაცვისა და ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლის მძლავრი ფაქტორი. ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რა დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს დეკლარაციის იმ დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებს საერთაშორისო საქმეებში ეფექტიანი ურთიერთმოქმედების გაფართოებას, რასაც ხელს შეუწყობს საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტისა და გაერთიანებული სამდივნოს შექმნა; პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება, მათ შორის პარლამენტართა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრები; ინფორმაციისა და სოციალისტური, კომუნისტური მშენებლობის გამოცდილების გაზიარების გაფართოება; ორმხრივი და მრავალმხრივი ეკონომიური თანამშრომლობის განვითარება კომპლექსური პროგრამის უფრო სრული რეალიზაციისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 30-ე სესიის გადწყვეტილებათა შესრულებისათვის; კულტურის დარგში თანამშრომლობის განმტკიცება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეების კონტაქტების წახალისება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ აგრეთვე, რომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მტკიცე გადწყვეტილებას, რომელიც დეკლარაციაში აისახა, განამტკიცონ ყველა სოციალისტური ქვეყნის სოლიდარობა. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო კომუნისტურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის მთელ ძალებთან ურთიერთმოქმედებას.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის დიდმნიშვნელოვანი ინიციატივები სავსებით შეესაბამება მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამას. საბჭოთა კავშირი მომმე ქვეყნებთან ერთად მომავალშიც ღირსეულ წვლილს შეიტანს ამ ისტორიული მნიშვნელობის საქმეში.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი თათბირის შედეგები, მის მიერ მიღებული გადწყვეტილებები უთუოდ კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს ევროპასა და მთელ მსოფლიოში მდგომარეობის განვითარებაზე, ახალ სტიმულს მისცემს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის, „ცივი ომის“ ნაშთების საბოლოო ლიკვიდაციისათვის, მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის ბრძოლას.

5 დეკემბერი სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეა

ვშრომობთ, ვსწავლობთ, ვისვენებთ

რუსთაველი ამწემშენებლები ახლა მუშაობენ დევიზით — „დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს — 60 დამკვრელური კვირა“. სურათზე ზემოთ — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შრომითი ვახტის — 60 დამკვრელური კვირის მონაწილეები: ნოდარ მენაბდიშვილი, ოლეგ მიქაძე და მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი, საამწყობო საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი თემურ ძებაშვილი. თვითეული მათგანი ცვლის დავალებებს 160 პროცენტით ასრულებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე ორგანულ ქიმიაში ლექციას ატარებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ი. გვერდწითელი. (მარცხნივ).

თბილისის კომკავშირის სახელობის კულტურის სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი (ხელმძღვანელი საკავშირო ფესტივალის ლაურეატი ჯ. მურუსიძე), რომელიც გაგდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარებული მუშათა შემოქმედების საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი. (მარჯვნივ).

ვ. სოკოლოვისა და ხ. კილაძის ფოტო.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში დამსახურებისათვის, დაარსების ოცდამეათე წლისთავის გამო, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშარაშვილი.

თბილისი. 1976 წლის 30 ნოემბერი.

ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე

მოსკოვში მუშაობა დაამთავრა ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიური საბჭოს მეოთხე სხდომამ.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის ფართო წრის საკითხები და ამ ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობანი.

სხდომაზე საბჭოს თანათავმჯდომარეებად კვლავ აირჩიეს სსრ კავშირის სახბანკის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ს. ალხიმოვი და ამერიკის „ჰეპსიკო ინკის“ კომპანიის პრეზიდენტი დ. კენდალი. (საკვესი).



თბილისი. 4 დეკემბერს საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პირველი გამოცემის მე-100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ზეიმი. სურათზე: ზეიმის ფინალი.

ვლ. ბინზაურის ფოტო.

წიგნის უკვდავება

„დედა ენის“ 100 წლის საიუბილეო ზეიმი თბილისში

ყოველ ერს აქვს თავისი უსაყვარესი წიგნი — თავისი სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, მარადიული თანამგზავრი. ქართველი ერისათვის ასეთი წიგნია დედაენის პირველი სახელმძღვანელო „დედა ენა“, რომელიც დიდმა პედაგოგმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა შეადგინა. ფასდაუდებელია ამ წიგნის ღვაწლი ქართველი ბავშვების მრავალი თაობის აღზრდაში. იგი პატარა მოქალაქეებს ასწავლის შრომის, შშობლიური მიწა-წყლის სიყვარულს, სიკეთისა და ერთგულებას, მეგობრობასა და ძმობას, მშობელი ხალხის სამსახურს. ეს წიგნი პირველად უდების პატარებს სარკმელს დიდი, საინტერესო და საკვირველი სამყაროს გასაცნობად.

დრო საუკეთესო მსაჯულია წიგნის უკვდავებისა. 100 წელია „დედა ენა“ ემსახურება ქართველ ხალხს, და ხალხიც, რომელმაც ჭეშმარიტად იცის ყოველი ჩვენგანისათვის უძვირფასესი წიგნის ფასი, უდიდესი სიყვარულით ზეიმობს ამ წიგნის იუბილეს.

გადის წლები, გავა საუკუნეები, ქართველი ერის კულტურის ისტორიაში კი იაკობ გოგებაშვილი და მისი „დედა ენა“ მარად უკვდავი იქნება.

„დედა ენის“ მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი დაგვირგვინა საიუბილეო საღამომ, რომელიც 3 დეკემბერს გაიმართა საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

...მარადმშობლიური უზარმაზარი „დედა ენა“ ყვავილებშია ჩასმული, ვვერდით ბრწყინავს ციფრი „100“.

სცენის სიღრმეში მოჩანს იაკობ გოგებაშვილის პორტრეტი და მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელობები „რუსკოე სლოვო“ და „ბუნების კარი“.

საზეიმო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მთავრობის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ.

— დღეს მთელი ჩვენი ხალხი, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელი საზოგადოებრიობა ზეიმით აღნიშნავს დიდი ქართველი პედაგოგისა და მწერლის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის უკვდავი „დედა ენის“ საუკუნოვან იუბილეს, — თქვა ო. ჩერქეზიამ. — ქართული ხალხის ეს ზეიმი უშუალო მონაპოვარია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, კიდევ ერთი ბრწყინვალე დემონსტრაციაა კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის და იმ ზრუნვისა, რომელსაც იჩენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროს და პირადად ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძმურ კავშირში შემავალი ყოველი ეროვნების მიმართ.

„დედა ენამ“ ააღორძინა, ახალი შინაარსით გაამდიდრა და განამტკიცა ხალხთა ფენებში მოქალაქეობრივი ინტერესები და ცოდნის, განათლებისა და სინათლისაკენ მისწრაფება, ღაუქვემდებარა რა ყოველივე ეს ქვეყნის წინსვლისათვის ბრძოლის სასიცოცხლო ინტერესებს.

ეს ამოცანები „დედა ენამ“ საუკეთესოდ გადაწყვიტა, და გადწყვიტა იმის შედეგად, რომ მშრომელი ხალხის სოციალური, პოლიტიკური, ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლის იდეებმა ამ წიგნში დედაენაზე შეისხა ფრთები და ჩვენი ხალხის წიაღში საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული და ბრძოლებში გამოტარებული სიბრძნით შეიმოსა.

„დედა ენა“, როგორც საბელმძღვანელო, იყო და რჩება პედაგოგიური მეცნიერების მიხაბაძ ნიმუშად. ჩვენი ნორჩი თაობა დაწყებით კლასებში „დედა ენისა“ და „რუსკოე სლოვოს“ პრინციპების მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელოებით სწავლობს, ჩვენი სკოლა უხვად იყენებს „ბუნების კარსა“ და სხვადასხვა კრებულებში მოთავსებულ იაკობის საყმაწვილო მოთხრობებს, ნარკვევებს, მიმოხილვებს.

იაკობ გოგებაშვილი უგანთლებულესი ადამიანი, დიდი პატრიოტი და ერისკაცი, ამავე დროს დიდი ინტერნაციონალისტიც იყო.

„დედა ენისა“ და „რუსკოე სლოვოს“ ავტორმა ბრძნულად განჭვრიტა დიდი რუსული ენის ცხოველმყოფელობა და დაუშრეტელი შესაძლებლობა. იგი მეზობარე და დაუცხრომელი მქადაგებელი იყო რუსული ენის ღრმად შესწავლისა, უსაზღვროდ აფასებდა რუსი მწერლებისა და პედაგოგების შემოქმედებას. იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებას იმთავითვე დიდი სიყვარული და აღიარება ხვდა. სამშობლოს წინაშე მისი ღვაწლი კარგად გამოხატა აკაკი წერეთელმა, როცა მას „წარსულის შვილი, მომავლის მამა და მყოფადის გადია“ უწოდა.

მაგრამ იაკობ გოგებაშვილის ღვაწლის ჭეშმარიტი დაფასება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი. იაკობ გოგებაშვილის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ახლობელი და ხელმისაწვდომია ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანი მკითხველისათვის. იაკობის ნაწარმოებები გამოდის ქართულ, რუსულ და ჩვენი ქვეყნის ხალხთა სხვა ენებზე, გოგებაშვილის შესახებ გამოცემულია ნარკვევები და მონოგრაფიები. „დედა ენის“ საიუბილეო დღეები ნამდვილ სახალხო დღესასწაულად იქცა. საიუბილეო დღეებისათვის უკვე ასიათასიანი ტირაჟით დაისტამბა პირველი 1876-წლისეული და იაკობის სიცოცხლეშივე, 1912 წელს გამოცემული „დედა ენის“ სახელმძღვანელობები. 50-ათასიანი ტირაჟით გამოდის „ბუნების კარი“; რამდენიმე ათას ცალად გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა ერთტომეული. ქართულსა და რუსულ ენებზე. მისივე საუკეთესო საყმაწვილო მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა“ — ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე და სხვადასხვა ავტორის რამდენიმე ნარკვევი იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

„დედა ენის“ იუბილესთან დაკავშირებით გადაწყდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაიხსნას იაკობ გოგებაშვილის სამეცნიერო კაბინეტი. გადაწყდა აგრეთვე სოფელ ეარიანში ამჟამად არსებული სახლ-მუზეუმი გადაკეთდეს იაკობ გოგებაშვილის სახელობის რესპუბლიკურ მუზეუმად და მას დაეკისროს სისტემატური პროპაგანდა იმ ამაგისა, რაც იაკობმა გასწია ქართველი ხალხის განათლების, დონის ამაღლების, მოწინავე ეროვნული სახალხო სკოლის შექმნა-განმტკიცების საქმეში.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. ო. ჩერქეზიამ თქვა:

ყველასათვის კარგად არის ცნობილი ის დიდი ზრუნვა, რომელსაც ჩვენი პარტია იჩენს ხალხის კულტურული მემკვიდრეობის მიმართ, იმისათვის, რომ კიდევ უფრო აუკავდეს ჩვენი ქვეყნის მომმე ხალხების ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. სიამოვნებთ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი დედაქალაქის საუკეთესო ადგილს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, მკვიდრად იქნა ჩადგმული სანაშნო ქვა „დედა ენის“ სიმბოლური ძეგლისა.

ჩვენი წარსულის დიდებული კულტურული მემკვიდრეობა განუყოფელი ნაწილია ჩვენი დღევანდელობისა. ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, როდესაც ხორცს ასხამს ადამიანთა ყველაზე სანუკვარი იდეალები, როდესაც ჩვენი პარტია დაუცხრომელ ბრძოლას ეწევა ყოველგვარი ეგოისტისა და დრომოჭმულის წინააღმდეგ. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა სულიერი და მატერიალური ფაქტორების სწორი, ჰარმონიული შერწყმა სულ უფრო გადამწყვეტ როლს ასრულებს ახალი ადამიანის — კომუნიზმის მშენებლის პიროვნების ჩამოყალიბებაში. „დედა ენა“ ერთი იმ წიგნთაგანია, რომელიც გვეხმარება ამ ამოცანის გადაწყვეტაში. ამიტომ უყვარს იგი ხალხს, ამიტომ ვზეიმობთ მისი გამოსვლის მე-100 წლისთავის იუბილეს, ამიტომ ვუდგამთ მას სამარადისო ძეგლს.

სიტყვა „დედა ენის“ შესახებ წარმოთქვა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ო. ქინქლაძემ.

— ქართველი ერის სულიერი ცხოვრების მატიანე ბევრი დიდებული საიუბილეო ზეიმის მომსწრე და მაუწყებელია. მის ფურცლებს ამშვენებს დიდი შოთას, ილიას, აკაკის, იაკობის, გალაკტიონის, ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლების, გამოჩენილი ქართველი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეების უკვდავი სახელები. მათმა ხალხისადმი სიყვარულმა და ხალხის მათდამი სიყვარულმა უკვდავყო ეს სახელები და სამუდამო ადგილი დაუმკვიდრა მათ ეროვნულ საგანძურში.

ჩვენი დღევანდელი იუბილარი სრულიად განსაკუთრებული და განუმეორებელია თავისი ასი წლის ასაკში. „დედა ენის“ ესოდენი განსაკუთრებულობა შეიდგა ამ საგულისხმო გარემოებისა, რომ მან დიდი როლი შეასრულა ქართული სახალხო სკოლის დაფუძნებასა და განვითარებაში, სწორედ ამიტომ არის, რომ „დედა ენის“ გამოსვლის მე-100 წლისთავი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადწყვეტილებით აღინიშნება როგორც ქართველი ხალხის გამორჩეული, ეროვნული დღესასწაული. ეს იუბილე უაღრესად მეტად ფასდასტურებაა ლენინური ეროვნული პოლიტიკისა, რომელსაც თანამიმდევრულად ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროს პირადად ჩვენი პარტიის ცენტრა-

(დასასრული მე-2 გვ.).

3-4 დეკემბერი

„პრავდის“ ფურცლებზე

მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანის გადაჭრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეული საწარმოს, თვითეული მუშაკის პირადი გეგმა ყოველმხრივ დასაბუთებული და ურთიერთშეჯერებული უნდა იყოს. ეგი ეხება სახალხო მეურნეობის მართვის ხარისხსაც — საწარმოო აპარატის პირველადი რგოლით დაწყებული და ცენტრალური სამეურნეო ორგანოებით დამთავრებული. ეგი გულისხმობს შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას და ბოლოს, რაც მთავარია, წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. აი ის საკითხები, რომელთა შესახებაც მსჯელობს ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. მინევეი სტატიაში „მუშაობის ხარისხი“, რომელიც „პრავდის“ 3 დეკემბრის ნომერშია გამოქვეყნებული რუბრიკით „საუბრები ხუთწლიან გეგმაზე“.

მომსახურების სფეროს შემდგომ გაუმჯობესებაში მეცნიერების დიდმნიშვნელოვან როლს მიეძღვნა საუბარი „პრავდის“ საქმიანი შეხვედრების მაგიდასთან.

საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში „სამეცნიერო ძიებათა მასშტაბი და სიღრმე ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს. ახლა, როცა საგრძნობლად განმტკიცდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მნიშვნელოვანწილად გაფართოვდა მომსახურების სფეროს საწარმოთა ქსელი, წინა პლანზეა წამოწეული სერვისის ხარისხობრივი მაჩვენებლები. ყველა მისი სახეობა ხელმისაწვდომი გავხადოთ მოსახლეობისათვის, ავამაღლოთ მომსახურების სისტემის საიმედოობა და ოპერატიულობა — აი რა მოთხოვნებს აყენებს ცხოვრება“, — ნათქვამია მ. ბუჟაევიჩის წერილში „მეცნიერება — მომსახურების სფეროს“, რომელშიც გაანალიზებულია საუბრის შედეგები.

მასწავლებლისა და მოსწავლის შემოქმედებითი კავშირი ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის შესანიშნავი ტრადიციაა. ეს ტრადიცია ამჟამად წარმატებით ვითარდება, რაც კეთილსასურველ გავლენას ახდენს მომავალ სპეციალისტთა სწავლასა და აღზრდაზე — ამ თემას ეძღვნება „პრავდის“ 4 დეკემბრის მოწინავე წერილი „სტუდენტობის დამრიგებლები“.

ათი წლის წინათ მიღებულ იქნა „დადგენილება 50-ტომიანი ბიბლიოთეკის — „ცომბირის ახალგაზრდა პროზის“ გამოცემის თაობაზე. ამ დღეებში მკითხველმა მიიღო უკანასკნელი ტომი, რითაც დამთავრდა ეს დიდი გამოცემა. მის ლიტერატურულ მიმოხილვას, რომლის ავტორია ანატოლი ნაიულკოვი გაზეთი ბეჭდავს მესამე გვერდზე სათაურით „ცომბირის ახალგაზრდა პროზა“.

ПРАВДА

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი—ცხოვრებაში!

ვპოვოთ, ავამოქმედოთ რეზერვები!

საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტების პლენუმებზე

სოხუმი

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შედეგები და პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან გამომდინარე ამოცანები.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ხინთბა. ინფორმაციები გააკეთეს: აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ გ. ცოგნიამ — აფხაზეთის ასსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმისა და აფხაზეთის ასსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ; აფხაზეთის ასსრ ფინანსთა მინისტრმა დ. ჯიჭონაიმ — აფხაზეთის ასსრ 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

პლენუმის მონაწილენი ერთსულოვნად აღიხადებდნენ, რომ აფხაზეთის კომუნისტები საქართველოს მთელ პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად მხურვალედ უჭერენ მხარს ლენინური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ზრდა, კულტურის აყვავება, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, სოციალიზმის პოზიციების განმტკიცება, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის გამარჯვება.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკამ კარგი სტარტი აიღო მეათე ხუთწლედში. მრეწველობის მუშაკებმა ადამდე, 26 ოქტომბრისათვის შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ათი თვის გეგმები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდამ შესაბამისად 103 და 102 პროცენტი შეადგინა. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 2,6 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის მშრომელები გადამეტებით ასრულებენ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის როგორც წარმოების, ისე დამზადების გეგმებს. აფხაზეთის მეჩაიეებმა წელს მოკრეფეს რეკორდული მოსავალი — 66,2 ათასი ტონა ხარისხოვანი ნედლეულის წინასწარი მონაცემები გვიჩვენებს, რომ წლეულსვე, ადაპტირებით იქნება შეარულებული თამბაქოს, ეთერზეთოვანი კულტურების, მარცვლეულის, ტუნგის, ციტრუსოვანთა ნაყოფისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების დავალებანი.

ამასთანავე პლენუმის მონაწილენი ხაზს უსვამდნენ, რომ ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ჯერ კიდევ სათანადო სიბეჯითეს ვერ იჩენს იმისათვის, რომ გამოიტანოს და გამოიყენოს არსებული რეზერვები მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად. აფხაზეთის 17-და სამრეწველო საწარმომ (88-დან) თავი ვერ გაართვა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმებს. ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურისა და დარგის მიხედვით აფხაზეთი ჯერ კიდევ ჩამორჩება არა მარტო სოციალისტურ ვალდებულებათა, არამედ გეგმიურ დავალებათა შესრულებაში.

მეტად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა კაპიტალურ მშენებლობაში.

ეფექტიანობასა და ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პატრიოტული თაოსნობანი, რომლებიც აფხაზეთის საწარმოო კოლექტივებში იშვა. მაგრამ, ამასთანავე, როგორც პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, ბევრი კარგი თაოსნობა ჯერ კიდევ არ გამხდარა ფართო მასების კუთვნილება. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობაში ბოლომდე არ არის დაძლეული ფორმალიზმი, დეკლარატიულობა.

შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის ბრძოლის გეგმაზომიერი ხასიათი უნდა მივცეთ და იანუხრელად შევუხამოთ შინაგანი რეზერვების გამოყენებას. ერთ-ერთი ძირითადი რეზერვია სოციალისტური დისციპლინის განმტკიცება, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანო ჯერ კიდევ ქმედითად ან იბრძვის სამუშაო დროის დანაკარგების წინააღმდეგ. რესთაველ მეტალურგთა თაოსნობა, — აღინიშნა პლენუმზე, — დღევანდელობის დევიზი უნდა გახდეს.

ცნობილია, რომ ახალ ხუთწლედში პარტიის მიერ შემუშავებულ სოციალურ-ეკონომიურ პროგრამაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებას საკითხებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა წინაშე. მაგრამ, როგორც პლენუმის მონაწილეებმა თქვეს, მათი გადაწყვეტა ფერხდება. საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის, სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-დატაცების ფაქტებმა მოწმობენ, რომ ვაჭრობის მუშაკთა კოლექტივებში დაბალია აღმზრდელობითი მუშაობის დონე, სუსტია პარტიული მომთხოვნელობა. პლენუმზე აღინიშნა აფხაზეთის ასსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საქმიანობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება. მთლიანად და სავსებით მოიწონა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, პლენუმმა მიიღო ისინი განხილული ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ბათუმი

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმმა მოისმინა პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პაპუნიძის მოხსენება ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან.

მომხსენებელმა და პლენუმის მონაწილე კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ აჭარის მშრომელები ნამუშევარ 2 ათას ტონა ციტრუსს და ეარაუდობენ, რომ სამშობლოს მიჰყიდიან 80.000 ტონას.

ამასთან ითქვა, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა შედეგები, ზოგიერთი საწარმოს შრომითს კოლექტივებს უფრო კარგად რომ ემუშავათ. 10 თვეში პროდუქციის გამოშვების ვალდებულებები ვერ შეასრულა ოცდა საწარმომ, რომლებმაც სახელმწიფოს დააკლეს 4,6 მილიონი მანეთის პროდუქცია. ეს იმის შედეგია, რომ კვლავ გრძელდებოდა გეგმების კორექტირების ზმართებულო პრაქტიკა, რაც ოფიციალურად მიმდინარეობდა წარმოების ზრდის ტემპზე. მიჩაიეებს ჯერ კიდევ არ გამოუყენებიათ ბევრი შინაგანი რეზერვი. (მეცტრუსიოს ბის საზოგადოებრივ სექტორში ვალდა დაბალია საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა, მის წილად მოდის ატონომიურ რესპუბლიკაში დამზადებული ციტრუსს მხოლოდ 24 პროცენტი.

პლენუმზე მკაცრად გააკრიტიკეს შენებლები, რომლებმაც ათ თვეში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გეგმა მხოლოდ 76,6 პროცენტით შეასრულეს.

დიდი სკკ-ბაასი გაიმართა მართლწესრიგის განმტკიცების საკითხზე. აღინიშნა სასიკეთო ძვრები ამ საქმეში. პლენუმზე ალუსტრიდილით ითქვა, რომ განხორციელებული სერიოზული ღონისძიებანი მიუხედავად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ციტრუსების გატანის ალაგიული შემთხვევები მაინც არის. მკაცრად გააკრიტიკეს ახალშინის, ორეხისა და სხვა სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელები, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ აღიკვეთეს ციტრუსების ნაყოფის დატაცება.

ორატორებმა თანიანთ გამოსვლებში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს მომავლის პერსპექტივებზე. ითქვა, რომ მეათე ხუთწლედში გაიზრდება პროდუქციის წარმოების მოცულობა და ამაღლდება შრომის ნაყოფიერება, ხოლო სოფლის მეურნეობის დარგში — გაშენდება ჩაის ახალი პლანტაციები, გადიდდება ჰექტარობრივი მოსავლიანობა, ზრდა ძირითადად საზოგადოებრივი სექტორის ბაზაზე მოხდება. ხუთწლიდის განმავლობაში აჭარა სამშობლოს მიჰყიდის 400 ათას ტონა ციტრუსს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებები. — განაცხადეს პლენუმის მონაწილეებმა. — მოითხოვს მეტი მებრძოლური სულისკვეთება შეიტანოთ სოციალისტური შეჯიბრების შიმდგომ განვითარებაში. მათ მოიწონეს და გაზიზგადეს საქართველოს საზოგაო სანაოსნოს პატრონატი ინიციატივა სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისთვის — სამეცი დამკრეფლური კვირა.

ერთხმად მოითხოვეს დადგენილებაში პლენუმმა განსაზღვრა საზოგადოებაში წარმოების ხარისხისა და ეფექტიანობის შიმდგომი ამაღლების, მეათე ხუთწლედის ამოცანების უფრო შესრულების კონკრეტული ღონისძიებები.

პლენუმმა „კომუნისტებისა და მშრომელთა სახელით აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ აჭარის მშრომელები, რომლებიც ერთსულოვნად იწონიენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. მიტი თავდადებითა და პასუხისმგებლობით იშრომენენ 1976 წლის წარმატებით დამთავრებისათვის, მომდევნო წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ცხინვალი

დამკვრელური შრომით უზრუნველყოთ ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება

—ეს დაისახეს მაზნად პლენუმის მონაწილეებმა, რომლებმაც განიხილეს საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თ. სანაკოიევის მოხსენება — პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო ორგანიზაციის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან .

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათის მონაწილეებმა დაწვრილებით ილაპარაკეს სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებზე, მათი წარმატებით გადაჭრის გზებზე. აღინიშნა, რომ ხუთწლიანი გეგმით 1980 წლისათვის სამხრეთ ოსეთის სამრეწველო წარმოების მოცულობა მიაღწევს 87.104 ათას მანეთს, ანუ ხუთწლედის მანძილზე წარმოების მოცულობა გადიდდება 48 პროცენტით, რაც 7 პროცენტით აღემატება რესპუბლიკის შესაბამის მაჩვენებელს. ძირითადად წარმოების ზრდა არსებულ საწარმოებში მიღწეულ უნდა იქნას შრომის ნაყოფიერების ამაღლებით, აგრეთვე მათი რეკონსტრუქციისა და ტექნიკური ხელახლა აღჭურვით, ახალი სიმძლავრეების ამოქმედებით.

პლენუმზე ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ ბევრი რეზერვია ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენებაში. ჯერ კიდევ დაბალია ცვლიანობის კოეფიციენტი ბევრ საწარმოში.

დიდი მსჯელობა გაიმართა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე. სკკპ არ არის, რომ სამხრეთ ოსეთში მხოლოდ ორი საწარმო უშვებს პროდუქციას ხარისხის სახელმწიფო ნიშნით.

პლენუმზე მთელი სიმკაცრით მოითხოვეს საწარმოებში შრომის დისციპლინის განმტკიცება, სამუშაო დროის დანაკარგების ლიკვიდაცია. მარტო წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით მოცდენებმა ექვსი ათასი კაცდღე შეადგინა.

ყურადღება გამახვილდა კაპიტალური მშენებლობის საკითხებზე. მშენებლობის მოუქნელი მუშაობა სფრთხის წინაშე აყენებს ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმებს. დაგალება ამ ხაზით მხოლოდ 44 პროცენტით არის შესრულებული.

